

## მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 44,147,151,76 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 32,144,417.48 ლარს, ტრანსფერი - 12,002,734.28 ლარს.

შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) განსაზღვრულია 35,944,003.40 ლარით, აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა შეადგენს 25,474,973 ლარს, ხოლო დარჩენილი 10,469,210.40 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 250,000.0 ლარი და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი - 2 335 759,40 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 5,012,697.0 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი - 1 232 000,00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 554 განკარგულებით „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხა -438,754.00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 აგვისტოს № 1733 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ გამოყოფილი ტრანსფერი -1,200,000.0 ლარი .

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 8220702,83 ლარს, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებული იქნა 17554,47 ლარი, მათ შორის 7622,47 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 9932,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14,03, №420 განკარგულების ნაშთი(სოფ.იმირის სასმელის წყლის და სატუმბო სადგურის მშენებლობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია). დარჩენილი 8203148,36 ლარიდან 6669624,48 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 1 533 523,88 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 100 129,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სასწრაფოს შენობის მშენებლობა), 30 991.41 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფლის პროექტები), 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.შაუმიანის ხიდის მშენებლობა), 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან

(სოფ.სადახლოს, აღმამედლოს, კირაჩ-მუდანლოს სასმელი წყალი, მდ.დებედას ნაპირსამაგრი და ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ პროექტების ნაშთი).

რაც შეეხება 2019 წლის 9 თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 29,396,709.10 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 26,036,190.13 ლარი, რაც გეგმის 89%-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 29,096,709.10 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 25,834,172.81 ლარი, გეგმის 89%-ი. 2019 წლის ცხრა თვის ფაქტიური შემოსავლები 52 %-ით მეტია 2018 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2019 წლის გადასახადების ცხრა თვის გეგმა არის – 12,847,350.0 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 12,284,165.11 ლარი რაც გეგმის 96 %-ს შეადგენს.

გრანტები სულ შემოსულია 7,724,761.51 ლარი, რაც გეგმის 75 %-ია. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – გეგმა 187,500.0 ლარი– ფაქტი 187,200.0, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შემოსულია 1,127,440.11 ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად – 515 759,40 ლარი. კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 5,216,362.0 ლარი, რაც გეგმის 78%-ია.

სხვა შემოსავლების 2019 წლის ცხრა თვის გეგმა იყო 6,014,568.50 ლარი, ცხრა თვის ფაქტმა შეადგინა 5,825,246.19 ლარი, რაც გეგმის 97 %-ია.

არაფინანსური აქტივების კლება ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 300,000.0 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 202,017.32 ლარი, ანუ გეგმის 67 %.

რაც შეეხება 2019 წლის ცხრა თვის გადასახდელების შესრულებას სულ შეადგენს 29,289,720.79 ლარს. რაც 3,253,530.66 ლარით მეტია შემოსულობებზე და ასიგნებები დაფინანსებულია ნაშთის გამოყენებით. თავისუფალი ნაშთი შეადგენს 4,949,617.70 ლარს. გადასახდელებში ხარჯები შეადგენს 14,124,712.71 ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 48 %-ია არაფინანსური აქტივების ზრდა -15,023,596.08 ლარს, მთლიანი გადასახდელების 51 %, გადასახდელების 1% - 141,412.0 ლარი არის ვალდებულების კლება.

გადასახდელები ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით :

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 907,922.07 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 482,663.69 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 280,933.89 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 2,253.49 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 110,728.0 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 31,343.00 ლარი.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 3,306,280.15 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე – 1,922,762.04 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 914,620.54 ლარი, გრანტების მუხლით 45,000.0 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 50,321.19 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 3,985.0 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 369,591.38 ლარი, აქედან 113,673.00 ლარი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში.

3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 88,158.50 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №3 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 141,412.00 ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 33,496.0 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 139,072.70 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 110,245.00 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 21,506.65 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 5,968.65 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 1,352.40 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 16,641,381.35 ლარი. აქედან:
  - 7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე სულ გახარჯულია 5,770,460.53 ლარი, აქედან ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 3,313,460.53 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 2,457,000.00 ლარი.
    - 7.2 წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე გახარჯულია 3,764,455.50 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 1,314,424.14 ლარით, რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 2,678,509.0 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში 1,085,946.0 ლარი, ხოლო 2019 წლის ცხრა თვის განმავლობაში შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს 385,965.05 ლარს.
    - 7.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსებულია 2,439,708.35 ლარით. აქედან 1,603,917.0 ლარი კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში.
    - 7.4 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე გახარჯულია სულ 238,703.62 ლარი.
    - 7.5 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობაზე გახარჯულია 197,104.47 ლარი.
    - 7.6 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო-ენერჯის ღირებულებაზე და მოვლა-შენახვაზე გახარჯულია 499,864.92 ლარი, ხოლო 177,840.27 ლარი არის კაპიტალური ხარჯი.
    - 7.7 მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 1514.025.51 ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 112.764 ლარს, საკუთარი შემოსავლები 16,211.30 ლარი, ხოლო ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ სუბსიდირება – 1288.230.71 ლარს, ხოლო 99 780,80 ლარი გახარჯულია ნაგვისა და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად.
    - 7.8 სასაფლაოებისა და სარიტუალო სახლების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე გახარჯულია 1.051.465.18 ლარი.

7.9 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 829,163.40 ლარი. აქედან 285.076 ლარი კაპიტალური ტრანსფერი.

7.10 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 408,916.62 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 318,661.80 ლარს.

8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ხარჯია 1,051,465.18 ლარი.
9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 3,178,345.79 ლარი, აქედან:
  - 9.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 1,682,463.65 ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე გახარჯულია – 298,087.23 ლარი.
  - 9.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 1,197,794.91 ლარი, აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის 43,800 ლარი, 285,055.10 ლარი გახარჯულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით – დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 868,539.81 ლარი.
10. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2019 წლის ცხრა თვეში სულ გახარჯული იქნა 1,699,492.36 ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა 862,140.91 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 809,769.45 ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 18,523 ლარით.
11. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე სულ გახარჯული იქნა 833,004.03 ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 150,248.97 ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 665,166.72 ლარი, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე - 17,588.34 ლარი.
12. ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის ხარჯია 41,311 ლარი.
13. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი – 403,228.79 ლარი.
14. 2019 წლის ცხრა თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 1964,774 ლარი. აქედან ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდა 131,511 ლარით. ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 850,182 ლარი, საიდანაც 17296,00 ლარი არის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით გახარჯულია 981,081 ლარი, აქედან 69,812.5 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, ხოლო 678,000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 2,000 ლარი.